# დიდი საეკლესიო დღესასწაულები და მათი ტროპარ-კონდაკნი

*ბრწყინვალე აღდგომაჲ*
*უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*
*დღესასწაულთა დღესასწაული*

*ტროპარი, ჴმაჲ 5.*

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.

*კონდაკი, ჴმაჲ 8.*

დაღაცათუ ნებსით თჳსით საფლავად შთახედ, უკუდაო, არამედ ჯოჯოხეთისა იგი ძალი დაარღჳე, და აღსდეგ, ვითარცა მძლე, ქრისტე ღმერთო, ხოლო მენელსაცხებლეთა დედათა ხარებაჲ მიმადლე და მოციქულთა მშჳდობაჲ მიანიჭე, რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომაჲ.

*ათორმეტ დღესასწაულთა ტროპარ-კონდაკნი*

*შობაჲ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ*
*(8 სექტემბერი — ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4.*

შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგუბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, დაჴსნა წყევაჲ, და



მოგუმადლა კურთხევაჲ და განაქარვა სიკუდილი, და მოგუანიჭა ჩუენ ცხოვრება საუკუნოჲ.

*კონდაკი, ჴმაჲ 4.*

იოაკიმ და ანნა ყუედრებისაგან უშვილოებისა, ხოლო ადამ და ევა ჴრწნილებისაგან და სიკუდილისა განთავისუფლდეს, უხრწნელო, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა, ამას დღესასწაულობს ერიცა შენი, თანამდებობისაგან ბრალთასა ჴსნილი, ღაღადებენ შენდამი: ბერწი შობს ღმრთისმშობელსა და მზრდელსა ცხოვრებისა ჩუენისასა.

*ჯუართამაღლებაჲ.*
*მსოფლიო ამაღლებაჲ პატიოსნისა და*
*ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲ.*
*(14 სექტემბერი)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1.*

აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკჳდრებელი შენი. ძლევაჲ ჯუარითა ბარბაროსთა ზედა ღმრთივდაცულსა ერსა ჩუენსა მონიჭე და საფარველსა ქუეშე შენსა დაიცევ, რაჲთა ვიტყოდეთ: უფალო, დიდებაჲ შენდა.

*კონდაკი, ჴმაჲ 4.*

რომელი ამაღლდი ნებსით ჯუარსა ზედა, მოსახელესა შენსა ახალსა მოქალაქობასა, წყალობანი შენნი მოგუანიჭე, ქრისტე ღმერთო, ახარე ძალითა შენითა ღმრთივდაცულსა

ერსა ჩუენსა და ძლევაჲ მომადლე მას მბრძოლთა მიმართ, რომელსა თანა შემწედ აქუს შენი საჭურველი მშჳდობისაჲ, უძლეველი საძლეველი, ჯუარი შენი, ყოვლადძლიერი.

*ტაძრად მიყვანება*
*ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ*
*(21 ნოემბერი ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4.*

დღეს განგებულებისა ღმრთისა დასაბამი არს, და საუკუნითგან საიდუმლოჲსა მის აღსრულებისა დაწყება, რამეთუ ტაძარსა შინა ღმრთისასა ქალწული დაემკჳდრების, და ქრისტესა ყოველთა გვახარებს, ამას უღაღადოთ ჴმა-მაღლად: გიხაროდენ, განგებულებისა ღმრთისა აღსასრულო.

*კონდაკი, ჴმაჲ 4.*

ყოვლადწმიდა ტაძარი მაცხოვრისა, მრავალ პატიოსანი იგი ქალწული, სამღუდელო საუნჯე დიდებისა ღმრთისა, დღეს შეიყვანების ტაძრად უფლისა და მადლსა თანა-შეიტანს სულისა წმიდისასა, რომელსა უგალობენ ანგელოზნი ღმრთისანი, რამეთუ ესე არს კარავი იგი ზეცათა.

*შობაჲ უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა*
*იესო ქრისტესი*
*(25 დეკემბერი ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4.*

შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა



ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისაგან ისწავეს თაყუანის-ცემაჲ შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთათ, უფალო, დიდებაჲ შენდა.

*კონდაკი, ჴმაჲ 3.*

ქალწული დღეს არსებად უზესთაესსა შობს ჩუენთჳს და ქუეყანა ქუაბსა შეუხებელისა შესწირვენ, ანგელოზნი მწყემსთა თანა დიდების მეტყუელებენ, ხოლო მოგუნი ვარსკულავისა თანა მოგზაურობენ, რომელი ჩუენთჳს იშუა ყრმაჲ ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი.

*ნათლისღებაჲ*
*უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ღმრთის განცხადებაჲ.*
*(6 იანვარი ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1.*

რაჟამს იორდანეს ნათელ-იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყუანის-ცემაჲ გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ჴმაჲ გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდუა შენ, და სული წმიდაჲ სახითა ტრედისაჲთა, დაამტკიცებდა სიტყჳსა მის უცთომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და სოფელი განანათლე, დიდებაჲ შენდა.

*კონდაკი, ჴმაჲ 4.*

განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა, და ნათელი შენი,

უფალო, აწ გამოისახა ჩუენზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა, მოხუედ და განსცხადენ, ნათელო შეუხებელო.

*მირქმაჲ (მიგებებაჲ)*
*უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*
*(2 თებერვალი ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1.*

გიხაროდენ, მიმადლებულო ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ შენგან განჴორციელდა მჴსნელი სოფლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, იხარებდ შენცა, მოხუცებულო, მართალო სჳმეონ, რამეთუ მიირქუ მკლავთა შენთა განმათავისუფლებელი სულთა ჩუენთაჲ, რომელი მოგუანიჭებს ჩუენ დიდსა წყალობასა.

*კონდაკი, ჴმაჲ 1.*

საშოჲ რა ქალწულებრივი განსწმიდე შობითა შენითა, და ჴელნიცა სჳმეონისნი აკურთხენ, ვითარცა გშუენოდა, უსწრვე აწცა და გუაცხოვნენ, ქრისტე ღმერთო, დაამშჳდენ ბრძოლასა შინა მოქალაქობაჲ ჩუენი და დაიცუენ მეფენი, რომელნი შეიყუარენ მხოლოო, კაცთმოყუარეო.

*ხარებაჲ*
*ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ*
*(25 მარტი ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4.*

დღეს ცხოვრებისა ჩუენისა თავი არს, და საუკუნითგან დაფარულისა მის საიდუმლოჲსა გამოცხადებაჲ, რამეთუ ძჱ



ღმრთისაჲ ძედ ქალწულის იწოდების, და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომელსა ჩუენცა ჴმამაღლად, უღაღადებთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა.

*კონდაკი, ჴმაჲ 8.*

ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი. არამედ ვითარცა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლუელი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩუენ, რაჲთა გგალობდეთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძლოო.

*ბზობაჲ;*
*დიდებით შესლვაჲ იერუსალიმში უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.*
*(გარდამავალი, აღდგომის წინა კვირა)*

*ტროპარი, ჴმაჲ 1.*

ყოველთა აღდგომასა პირველ ვნებისა შენისასა მოასწავებდი, ამისთჳსცა მეგობარი შენი, ლაზარე, მკუდრეთით აღადგინე, ქრისტე ღმერთო, რომლისათჳს ჩუენცა, ვითარცა შვილნი ებრაელთანი, შევსწირავთ შენდა ძლევისა გალობასა, რომელმან დასთრგუნე სიკუდილი: ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

*კონდაკი, ჴმაჲ 6.*

ზეცათა შინა საყდართა, კიცუსა ქუეყანასა ზედა

მჯდომარემან, ქრისტე ღმერთო ჩუენო, ანგელოსთა ქება დღეს და ყრმათა გალობა ზოგად შეიწირე, რომელნი გალობდეს: კურთხეულ ხარ, რომელი მოხუედ ცხოვრებად და განახლებად, მჴსნელო ადამისო, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

*ამაღლებაჲ*
*უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*
*(გარდამავალი, აღდგომიდან მეორმოცე დღე)*

*ტროპარი, ჴმაჲ 4.*

ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და მხიარულ-ჰყუნენ მოწაფენი აღთქმითა მით სულისა წმიდისაჲთა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძჱ ღმრთისა, მჴსნელი სოფლისა.

*კონდაკი, ჴმაჲ 6.*

სრულ-ჰყავ რა ცხოვრებაჲ ჩუენი, და ზეცისათა შეაერთე ქუეყანისანი, ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო, რომელი არა სადა განეშორები, მჴსნელო, არამედ ჰგიე განუშორებელად, და ეტყოდი საყუარელთა მათ შენთა: მე მხოლო ვარ თქუენ თანა, და ვერ ვინ შემძლებელ არს ვნებად თქუენდა.

*სულთმოფენობაჲ.*
*სული წმიდის გარდამოსლვაჲ.*
*(გარდამავალი, აღდგომიდან ორმოცდამეათე დღე)*

*ტროპარი, ჴმაჲ 8.*

კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან



ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიჰფინე რაჲ მათ ზედა ყოვლადწმიდა სული შენი, და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადირე, კაცთმოყუარე, დიდებაჲ შენდა.

*კონდაკი, ჴმაჲ 8.*

რაჟამს იგი გარდამოჴდა, და ენანი შეურივნა, მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ, რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყვნა, ერთბამად მიიყვანნა იგინნი, ამისთჳსცა ერთობით ვადიდებდეთ სულსა ყოვლადწმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისასა.

*ფერისცვალებაჲ*
*უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი*
*(6 აგვისტო ძვ. სტილით)*

*ტროპარი, ჴმაჲ 7.*

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი ძალისაებრ მათისა, და გამოგჳბრწყინვე ჩუენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა, ნათლისა მომცემელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

*კონდაკი, ჴმაჲ 7.*

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და რაოდენ ძალ ედუა მოწაფეთა შენთა, დიდებაჲ შენი უჩუენე, რაჲთა, რაჟამს იხილონ ჯუარ-ცუმაჲ შენი, გულისჴმა-ჰყონ, ვითარმედ ვნება იგი ნებსით არს, და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ

ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაჲ მამისაჲ.

## *მიძინებაჲ*
## *ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ*
## *(15 აგვისტო ძვ.)*

### *ტროპარი, ჴმაჲ 1.*

შობასა ქალწულებაი დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღმრთისმშობელო, მიხუედ ცხოვრებად დედაჲ ეგე ცხოვრებისა, და აწ მეოხებითა შენითა იჴსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა.

### *კონდაკი, ჴმაჲ 2.*

მეოხებათა შინა სამარადისოდ მვედრებელი, და შეწევნათა შინა უცვალებელი სასოებაჲ, ღმრთისმშობელო, სამარემან და სიკუდილმან ვერ დაგაბრკოლეს, არამედ, ვითარცა დედაჲ ეგე ცხოვრებისაჲ, ცხოვრებად მიგცვალა, რომელმან დაიმკჳდრა საშოჲ მარადის ქალწულისა.